

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ბატონ ვასილ გედევანიშვილს

სკოპინგის განცხადება

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ შპს „ბეთლემი 2008“ (ს/კ:237070209) მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიხაურში დაგეგმილია ცემენტის საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება. პროექტის განხორციელება დაგეგმილია კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ:26.16.19.430).

ცემენტის წარმოება წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომში „კოდექსი“) II დანართით განსაზღვრულ საქმიანობას და საჭიროების კოდექსით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლას, თუმცა ვინაიდან წინასწარი გამოკვლევით დგინდება, რომ განსახილველი საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს გარემოზე ზემოქმედებასთან, რაც საჭიროებს სათანადო შეფასებების განხორციელებას და გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვას, საქმიანობის განამხორციელებილის მიერ, კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით სააგენტოში სკოპინგის განცხადების/ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებით.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურის (გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის) მიერ სკოპინგის განცხადების განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკოპინგის განცხადებას, სკრინინგის ანგარიშთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

კანონმდებლობის დადგენილი წესით, დანართის სახით წარმოგიდგენთ საკვლევი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის ელექტრონულ და მატერიალურ ვერსიას, ასევე ტერიტორიის Shp ფაილებს.

დანართები:

- სკოპინგის ანგარიში (ელექტრონული / მატერიალური)
- Shp ფაილები (ელექტრონული)

პატივისცემით,

შპს „ბეთლემი 2008“-ის დირექტორი

გიორგი გორგოშიძე

6.11.2024

